საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2228 2018 წლის 20 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (შემდგომში – სამინისტრო) ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების თაობაზე მოსახლეობის ფართო მასების ინფორმირების მიზნით, სარეკლამო ვიდეორგოლის დამზადების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებიდან (პროგრამული კოდი: 35 01 01).

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე** [2]